ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7241258

ნომერი: AR11047921

თარიღი : 17.07.2024

გაცემის თარიღი : 04.10.2024

გაცნობის თარიღი : 07.10.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ალ. ქართველიშვილის N8;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბორის გამრეკელი პ/ნ 01008003148
- თბილისი დელისის ქ.7

ნომენკლატურა :

- საწყობი
- III კლასი
- ახალი მშენებლობა
- ესკიზის წინასწარი შეთანხმება

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: წყალდისპერსიული საღებავების სასაწყობი.
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: მერაბ გუჯეჯიანი
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შ.პ.ს "არქიტექტორები და კომპანია"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 202266813

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019

წლის 31 მაისის№255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

ვბრძანებ

სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია წარმოდგენილი ესკიზის მიხედვით ობიექტის სამშენებლო განვითარება, რომელიც შესაძლებელი იქნება მხოლოდ სათანადო სამშენებლო დოკუმენტის პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შემდეგ. ამისათვის კი, სათანადო განცხადებით და დოკუმენტაციით უნდა მოგვმართოს დაინტერესებულმა პირმა. გაითვალისწინეთ, რომ სამშენებლო დოკუმენტის პროექტი უნდა მომზადდეს მოქმედი სამშენებლო საქმიანობის მარეგულირებელი ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით, მათ შორის:
- „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილება.
- „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები“, დამტკიცებული ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილება;
- საპროექტო დოკუმენტაცია პროექტის შეთანხმების სტადიაზე დამუშავებულ უნდა იქნას, შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების გათვალისწინებით.
- საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის N732 დადგენილების დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების" გათვალისწინებით.
-არსებულ შენობასთან წარმოსახვითი საზღვრის დაცვის პირობით.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.